UDC 930.85
SCOPUS CODE 1202
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-4-26-33

მეფის ინსტიტუტის მნიშვნელობა ძველ ახლო აღმოსავლეთში ნანა ხაზარაძის საისტორიო მემკვიდრეობის მიხედვით

დარეჯან ცუცქირიძე არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: d.tsutskiridze@gtu.ge

რეცენზენტები:

ლ. მათეშვილი, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის , მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
E-mail: l.mateshvili@gmail.com

ნ. ბახსოლიანი, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
E-mail: bakhsolianinan@yahoo.com

„გავხდე უკეთესი, ვიდრე სინამდვილეში ვარ, ალბათ, ძნელად მისაღწევია, თუმცა სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, ჩემთვის განკუთვნილ, დარჩენილ დროშიცაა შესაძლებელი“

ნ. ხაზარაძე, 2009 ქრისტეშობისთვე“

ანოტაცია. ძველი ისტორიის უბადლო მკვლევრის ნანა ხაზარაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც თანამედროვეობისთვისაცაა აქტუალური. სწორედ ამიტომ, ნანა ხაზარაძის ნაშრომები განსაკუთრებით ღირებულია თანამედროვე ისტორიული კვლევებისათვის. სხვა მრავალ საკითხთან ერთად მკვლევრის სამეცნიერო ინტერესის სფეროში ექცევა ძველ სამყაროში სამეფო ხელისუფლების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საკითხები. ნანა ხაზარაძე გვთავაზობს მეფის ინსტიტუტის მრავალმხრივ ანალიზს, რომელიც მოიცავს მეფის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული როლისა და ფუნქციების სიღრმისეულ გააზრებას. აქცენტები კეთდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა დინასტიის ცვლილება, საერო და ღვთიური ლეგიტიმაცია, მემკვიდრეობითობის პრინციპი და სხვ. რომელთა კვლევაც არა მხოლოდ ძველი ისტორიის, არამედ თანამედროვე პოლიტიკისა და საზოგადოებრივი პროცესების ანალიზისათვისაც მნიშვნელოვანია. ნაშრომში ასევე გადმოცემულია აღნიშნულ საკითხებ-

თან მიმართებით ნანა ხაზარაძის სამეცნიერო მიდგომები და დასკვნები და ხაზგასმულია ავტორის განსაკუთრებული ხედვის მნიშვნელობა, რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა სიღრმისეულად გავიგოთ და შევაფასოთ ისტორიული პროცესები და მათი ურთიერთმიმართებები თანამედროვეობასთან.

საკვანძო სიტყვები: დინასტიის ცვლილება; ლეგიტიმაცია; მემკვიდრეობითობა; სამეფო ინსტიტუტი.

შესავალი

ძველი ისტორიის უბადლო მკვლევრის ნანა ხაზარაძის სამეცნიერო ინტერესის სფერო ძველი ისტორიის კვალდაკვალ ახალი ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებსაც მოიცავდა. ნანა ხაზარაძეს კარგად ესმოდა წარსულის გავლენის მნიშვნელობა აწმყოზე, ამიტომ ისტორიულ წყაროებსა და ფუნდამენტურ სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით, განსაკუთრებული მეცნიერული სიფაქიზითა და თანამიმდევრულობით იკვლევდა იმ საწყისებს, რომელთა ცოდნაც როგორც ძველი, ისე თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური სისტემების სიღრმისეული ანალიზისათვის მნიშვნელოვანია. ნანა ხაზარაძემ თავის ნაშრომებში ძველი ახლო აღმოსავლეთის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებების ლოკალიზაციის, ტოპონიმიკის, მმართველობისა და სხვა ფუნდამენტური საკითხების სრულყოფილად შესწავლისათვის გააანალიზა არაერთი საკითხი და ამ გზით თანამედროვე ისტორიული კვლევების თეორიული საფუძვლების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მის ნაშრომებში ცენტრალური ადგილი მეფესა და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ასპექტებს ეთმობა. სწორედ მეფის ხელისუფლებისა და სხვადასხვა სფეროზე მისი გავლენის ანალიზი ეხმარება თანამედროვე მკვლევრებს გაიგონ ძალაუფლების ჩამოყალიბების, ფუნქციონირების, გადაცემის მექანიზმები; პოლიტიკური და სოციალური პროცესების მონაწილეების ურთიერთობები, ასევე ის, როგორ შეიძლება ამ ცოდნის გამოყენება პოლიტიკურ სისტემებსა და საზოგადოებრივ დისკურსებში. ზემოთქმულთან მიმართებით, მოკლედ მიმოვიხილავთ მეფის ხელისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მათ შესახებ ავტორის თვალსაზრისებს.

ძირითადი ნაწილი

სამეფო ხელისუფლების რეკონსტრუქციის საკითხებს, მეფის მნიშვნელოვან როლსა და ფუნქციებს მიეძღვნა ნაშრომები: აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში; მეფის ინსტიტუტი ლიდიაში, მასალები სამეფო ხელისუფლების ისტორიისათვის ძველ ფრიგიაში; ХЕТСКО (ЛУВИЙСКО) – ИЕРОГЛИФИЧЕСКИЕ НАДПИСИ КАК ИСТОЧНИК СОЦИАЛНО-ЭКОНОМИЧЕСКОЙ ИСТОРИИ ПОЗДНЕХЕТСКОГО ОБЩЕСТВА; ЦАРСКАЯ ВЛАСТЬ В ПОЗДНЕХЕТСКИХ ПОЛИТИЧЕСКИХ ОБРАЗОВАНИЯХ, Royal Power in Late Political entities და სხვ. საიდანაც იკვეთება, რომ მეფე, მხოლოდ პოლიტიკური ლიდერი არ იყო. იგი განასახიერებდა ღვთაებრივ ავტორიტეტსაც, რომლის მეშვეობითაც მყარდებოდა

სამყაროს წესრიგი და ხდებოდა სამეფო ძალაუფლების ლეგიტიმაცია. მეფის როლისა და ფუნქციების უკეთ გააზრებას ემსახურება ნანა ხაზარაძის აქცენტი ტერმინ „მეფეზე“. გვიანხეთური ხანის მეფეთა სახელებთან თანდართული ეპითეტების მეშვეობით (მაგალითად: „დიდი“, „გმირი“, „ღვთაების რჩეული“ და სხვ.) მეფე ღვთაებრივი ნების აღმსრულებლად განიხილება, რაც მას განსაკუთრებულ ძალაუფლებას და განუმეორებელ სტატუსს ანიჭებდა [9, 10]; [6]. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, ძველ სამყაროში ღმერთები, სამყარო და ადამიანი მთლიანი სისტემის განუყოფელ, ერთმანეთზე დამოკიდებულ ნაწილებად განიხილება, სამყარო ღმერთების საჭიროებისათვის და შესაძლებლობათა განხორციელებისათვის შეიქმნა. ადამიანის შესაქმე სამყაროს შესაქმეს ლოგიკური დაგვირგვინება იყო, ამისათვის კი საჭირო იყო ადამიანი [4]. კიდევ ერთი მიდგომით, შესაქმეს აქტი საჭიროებდა გამეორებას, სამყარო - სავალდებულო განახლებას, რაც შესაბამისი რიტუალით მიიღწეოდა, ხოლო რიტუალის არჩატარება ან არასრულფასოვნად ჩატარება ემუქრებოდა სამყაროს წესრიგს... მეფეც მიიჩქაროდა ტაძარში, რათა თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულება - ღმერთების მსახურებით სამყაროს წესრიგის შენარჩუნება უზრუნველეყო [2, 3]. ასე რომ, მეფობის ინსტიტუტი განიხილება ღვთაებრივი ნების გამოხატვისა და სამყაროს წესრიგის დამცველის სიმბოლოდ. სახელმწიფო მოწყობა, სამართლის ძირითადი პრინციპები, ქცევის ძირითადი ნორმები ათასწლეულის მანძილზე ღვთაებრივი წესრიგის განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა [2, 3].

მეფის არსებითი მნიშვნელობა პოლიტიკის ფორმირებისა და საგარეო ურთიერთობების, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის, პოლიტიკური უთანხმოებების მოგვარების მიმართულებით ცალსახად ჩანს ნანა ხაზარაძის ფუნდამენტურ ნაშრომში: „აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“, რომელშიც ავტორი თაბალის პრობლემატიკას ასურეთთან ურთიერთობის ფონზე განიხილავს: „ურთიერთობის ინიციატორად, წესისამებრ, თაბალის მეფე გამოდიოდა. იგი ხან დიპლომატიის გზით ცდილობდა ასურეთის ქვეშევრდომობისგან გათავისუფლებას, ხან კი იარაღით ხელში იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის, მთავარ მოქმედ პირად რჩებოდა თაბალის მეფე მაშინაც, როდესაც თაბალი ასურეთთან მშვიდობიან თანამშრომლობას წყვეტდა“ [5]. მეფის მიერ შერჩეული სტრატეგია მეტწილად შექმნილ საერთაშორისო ან/და შიგა პოლიტიკურ ვითარებასა და სამხედრო ძლიერებაზე იყო დამოკიდებული. პოლიტიკური ნაბიჯების ცვლილება რეალობით იყო ნაკარნახევი: „ძვ. 837 წ. სალმანასარ III-ს 22–ედ გადაულახავს მდინარე ევფრატი და წასულა თაბალის ქვეყნისაკენ, სადაც მას თაბალის 24 მეფისაგან ძღვენი მიუღია. შემდეგ წელს ასურეთის მეფე კვლავ გაბრუნებულა მდ. ევფრატისაკენ და მელიდის მეფის ლალას სამეფო ქალაქ უეთაში დაბანაკებულა. ამჯერად ხარკით ხელდამშვენებული თაბალის მეფეები თვით მოსულან სალმანასარ III-სთან [5]. მოვლენათა განვითარების სხვა ეტაპზე მეფეთა ქმედება სხვაგვარი იყო, მაგალითად, დაახლოებით ძვ. წ. 728 წელს „თაბალის ურჩ მეფეს უასურმეს ასურეთის ქვეშევრდომობისაგან განთავი-

სუფლება განუზრახავს“ [5]. უასურმეს აჯანყების მიზეზები მკვლევართათვის ბოლომდე ცნობილი არაა, შესაძლოა, მან ვერ შეძლო ხარკის გადახდა ან პირიქით, საკმარისად ძლიერად გრძნობდა თავს იმისათვის, რომ ასურეთის უღლისაგან გათავისუფლება შესაძლებლად ჩაეთვალა. ერთი რამ ცალსახაა, მეფეთა სტრატეგია პოლიტიკური პროცესების განვითარების მიხედვით იცვლებოდა და სხვადასხვა ეტაპზე არსებითად განსხვავდებოდა [1] მეფეთა პოლიტიკური გადაწყვეტილებები გავლენას ახდენდა არა მხოლოდ ისტორიული პროცესების განვითარებაზე, არამედ მათი მმართველობის ლეგიტიმაციის ხარისხზეც. ავტორი კარგად აცნობიერებს მეფის გადაწყვეტილებების მნიშვნელობას და, შესაბამისად, მათ გრძელვადიან პოლიტიკურ შედეგებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს. თუ ისევ უასურმეს მაგალითს მივმართავთ, მის მიერ აჯანყების გადაწყვეტილება დინასტიის ცვლილების მიზეზი გამხდარა: „იგი მკაცრად დასჯილა, მის ნაცვლად ტახტზე თიგლათფილესერ III-ს ჰული – „არავის შვილი“ (ე.ი. პირი, რომელიც უასურმეს დინასტიას არ ეკუთვნოდა) დაუსვამს“ [15]. ზოგადად, დინასტიის ცვლილება არსებით გავლენას ახდენდა პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ პროცესებზე და განსაზღვრავდა ისტორიული განვითარების ვექტორსა და ქვეყნის მომავალი განვითარების პერსპექტივებს. ამგვარი ცვლილებები მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნიდა როგორც ახალ მმართველს, ისე ქვეყნის სტაბილურობას, რაც შიგა პოლიტიკურ მხარდაჭერას და გარე ძალებთან მჭიდრო, მრავალმხრივი ურთიერთობების დამყარებას მოითხოვდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ნანა ხაზარაძე მეფის ინსტიტუტის პრობლემატიკის კვლევისას დინასტიური ცვლილებების საკითხების მიმართ სამეცნიერო ინტერესს იჩენდა. მაგალითად, ნაშრომში „მეფის ინსტიტუტი ლიდიაში“ ავტორი გვიამბობს მერმნადთა დინასტიის დამაარსებლის გიგესის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ისტორიას და არსებული წყაროების მიხედვით მასთან დაკავშირებული მოვლენების მრავალმხრივ ანალიზს გვთავაზობს [7], რაც დინასტიური ცვლილებების პოლიტიკური, სოციალური და კულტურული შედეგების სიღრმისეულ გააზრებას ისახავს მიზნად. აგრეთვე რადგან დინასტიის ცვლილების პროცესი მჭიდროდ უკავშირდებოდა მმართველობის ლეგიტიმაციის ფუნდამენტურ პრინციპებს ნანა ხაზარაძეს არც ლეგიტიმაციის ასპექტი გამორჩენია მხედველობიდან. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით მეფე ალკაიოსის მმრთველობის შესახებ ნიკოლოზ დამასკოელის ცნობის გათვალისწინება მნიშვნელოვანია. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე ამახვილებს: „1. ნათესავთა და სახალხო კრების მიერ მეფის არჩევის პრაქტიკა; 2. მეფობის ვადის წინასწარი განსაზღვრა; 3. თავად ვადის ხანგრძლივობა და 4. მითითება ბედნიერი ხანის შესახებ“ [7] ამ საკითხების გამოყოფა ცხადყოფს, ავტორს რამდენად სიღრმისეულად ჰქონდა გააზრებული ლეგიტიმაციის მექანიზმების განვითარების მნიშვნელობა და მათი გადამწყვეტი როლი მმართველობის სტაბილურობისათვის. მაგალითად, მეფის არჩევა ნათესავების, ასევე სახალხო კრების მიერ სწორედ ლეგიტიმაციის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ალბათ, ამიტომ აღნიშნავდა ნანა ხაზარაძე, რომ „მას დიდი როლი ენიჭებოდა ხეთების ძველი სამეფოს დროს და იგივე დასტურდება ძველ ფრიგიაშიც“ [7]. ავტორი ყურადღებას დროის გარკვეული პერიოდით მეფედ

არჩევის საკითხზეც ამახვილებს: „მიუხედავად იმისა, რომ მეფეს ხელისუფლება სიკვდილამდე ეძლეოდა, იგი ტახტზე ასვლის ცერემონიალს ყოველწლიურად იმეორებდა. ცერემონიალი ახალი წლის პირველ დღესვე სრულდებოდა და ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ..... მეფობის პერიოდის განსაზღვრა 7- ან 8-წლიანი ვადით კრეტაზე, სპარტაში, ხეთების ძველ სამეფოში და სხვა ქვეყნებშიც მოწმდება“ [7]. ლეგიტიმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნანა ხაზარაძე თავის ნაშრომებში მეფის ღვთაებრივი ლეგიტიმაციის ანალიზს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. აღნიშნულ საკითხს იგი, უპირველეს ყოვლისა, იეროგლიფური ხეთური წარწერების საფუძველზე განიხილავს და ასკვნის, რომ სამეფო ხელისუფლება გენეტიკურად უმაღლეს ღვთაებას ან ღვთაებათა ტრიადას უკავშირდებოდა. უფრო მეტიც, ესა თუ ის მეფე კონკრეტული ღვთაების რჩეული იყო და ბატონობა ქალაქსა თუ ქვეყანაზე მისგან იყო ბოძებული [6]. ქალბატონი ნანა ყურადღებას შემდეგზეც ამახვილებს: „გვიანხეთური პერიოდის მეფეთა სახელები თეოფორული ხასიათისაა და გენეტიკურად უკავშირდება ძვ. წ. II-I ათასწლეულის ხეთურ-ლუვიურ პანთეონს“ [6]. წარმოდგენილი დასკვნა იმ თვალსაზრისითაა გასათვალისწინებელი, რომ მეფეთა სახელების წარმოქმნაში არა მხოლოდ რელიგიურ–კულტურული ტრადიციების, არამედ ღვთაებრივი ლეგიტიმაციის პროცესში სამეფო სახელების მნიშვნელობის როლიც ჩანს. მეფის ღვთიური ლეგიტიმაციის საილუსტრაციოდ ნანა ხაზარაძეს სხვა მაგალითებიც მოჰყავს, მეფედ არჩევის რიტუალის დროს: „უმაღლესი ქურუმი მეფეს ძლიერ სილას აწნავდა და ყურებსაც ასეთივე ძალით ჩამოუქაჩავდა. თუ მეფეს თვალებზე ცრემლი მოადგებოდა, ითვლებოდა, რომ რიტუალმა ღმერთების მოსაწონ დონეზე ჩაიარა. მეფეს უბრუნებდნენ კვერთხს, სამეფო ხელისუფლების მანიშნებელ სხვა ინსიგნიებს და კვლავ ტახტზე აჰყავდათ“ [8]. საინტერესოა ნანა ხაზარაძის ნაშრომში გამოყენებული „მიდასის ციკლის მითებიც“, სადაც, მაგალითად, ფრიგიის მომავალ მეფეს, მიდასს მისი გამეფების შესახებ ღმერთების გადაწყვეტილებას არწივი ამცნობს; ან მითი „ღმერთების დედად“ წოდებულ ფრიგიელთა უზენაეს ღვთაება - კიბელაზე ქორწინების შესახებ [8] მეფის ღვთაებრივი ლეგიტიმაცია ასევე გულისხმობდა, რომ მეფე ღვთაების ნების პირდაპირი გამომხატველი იყო [11], რაც მეფის ავტორიტეტის სიმტკიცესა და აბსოლუტურობას უზრუნველყოფდა. ღვთაების ნება როგორც ორაკულის, ისე სიზმრის მეშვეობით ცხადდებოდა. ნანა ხაზარაძე თავის ნაშრომებში არც ამ ასპექტს ტოვებს უყურადღებოდ, რაც ღვთაებათა ნების გამოვლინების გზების შესახებ მსჯელობას კიდევ უფრო ამდიდრებს და სიღრმისეულს ხდის. მაგალითად, ორაკული ფრიგიელებს აუწყებს, რომ მეფე გახდება ის, ვინც მათ ურმით გამოეცხადება [8]. ორაკული მეფე კროიოსის მოღვაწეობის ყველაზე რთული მომენტების აღწერისასაც ჩნდება [7], რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მეფის გადაწყვეტილებები შემთხვევითი არაა. რაც შეეხება სიზმარს, ჰეროდოტე მიიჩნევდა, რომ ღმერთი მას კონკრეტული პიროვნებისთვის გზავნიდა, რათა მისთვის საკუთარი ნება ეცნობებინა და სწორი ქცევის გზა მიენიშნებინა. თუ ადამიანი სწორად გაიგებდა სიზმრის შინაარსს, შესაძლოა, გარკვეული საფრთხეები აეცდინა, თუმცა ხშირად სიზმრის მცდარ აღქმას მძიმე შედეგები მოჰქონდა [12].

„ჭეშმარიტების მაუწყებელი სიზმარის“ მაგალითი მეფე კროიოსთან დაკავშირებით ნანა ხაზარაძის ნაშრომშიცაა მოცემული [8].

ნანა ხაზარაძე განსაკუთრებული სიღრმითა და ყურადღებით აგრეთვე მემკვიდრეობითობის პრინციპს იკვლევს. ამგვარი დამოკიდებულების გამო მკითხველს უადვილდება აღნიშნული საკითხის სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის პროცესთან მიმართებით გააზრება. მემკვიდრეობითობის საკითხის შესწავლისას მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას იეროგრიფულ–ხეთურ წარწერებში დაცულ ცალკეულ მეფეთა გენეალოგიაზე ამახვილებს და მიიჩნევს, რომ ეს მონაცემები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება მემკვიდრეობით–სამართლებრივი ურთიერთობები იმ ხალხებში, რომელნიც ხეთურ (ლუვიურ) იეროგლიფური ენისა და დამწერლობის მატარებელნი იყვნენ [9, 10], ჯერ-ჯერობით ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, ქალბატონი ნანა შორსაა იმ მოსაზრებისგან, რომ გვიანხეთური პერიოდის მმართველების გენეალოგია გვიანხეთური პერიოდის მემკვიდრეობითი უფლებების ყველა ასპექტის შესახებ სრულ სურათს იძლევა. თუმცა, ვარაუდობს, რომ ხეთურ (ლუვიურ) იეროგლიფურ წარწერებში არსებული მონაცემების შედარება სხვა ძველაღმოსავლური სამართლებრივი ძეგლების მონაცემებთან, განსაკუთრებით ხეთური ეპოქის ძეგლებთან მაინც შესაძლებელს გახდის, რომ ძველ ხეთებში მემკვიდრეობითი უფლებების ძირითადი მიმართულებები განისაზღვროს [9, 10]. საბოლოოდ წყაროთა შესწავლისა და შეჯერების საფუძველზე მკვლევარი გვთავაზობს ძირითად დასკვნას, რომ ხელისუფლება მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე (ვაჟზე) [9, 10]. ყურადღებას იმსახურებს ის მონაცემები, რომელშიც მოხსენიებულია მამის, პაპის, პაპის მამის, პაპის პაპის სახელები [9, 10]. აგრეთვე ავტორის თანახმად, ზოგიერთ წარწერაში მოხსენიებულნი არიან იმ პერიოდის მმართველთა მემკვიდრეები (ვაჟები) [9, 10]. მემკვიდრეობითობასა და სამეფო ხელისუფლების უწყვეტობაზე საუბრისას ავტორი სხვა ქვეყნების მაგალითსაც იშველიებს: მაგალითად თაბალის [6]. ასევე ლიდიისას [7]. საბოლოოდ, მემკვიდრეობითობის პრობლემატიკის შესწავლის საფუძველზე ნანა ხაზარაძე მიიჩნევს, რომ გვიანხეთური საზოგადოებების მსგავსად, სამეფო ხელისუფლება მემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა, იგი მამიდან შვილზე გადადიოდა. თუმცა ავტორის მოსაზრებით მეფის მემკვიდრეობის წესების სირთულეებიდან გამომდინარე, ყოველთვის ნათელი არ არის, იყვნენ თუ არა მემკვიდრეები ასაკით უფროსი ვაჟები [7]. უფრო მეტიც, ლიდიის საკითხის კვლევისას იგი ასკვნის, რომ ლიდიაში სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის მოქმედი წესი დასაშვებად მიიჩნევდა მეფიდან მის შვილიშვილზე ხელისუფლების გადაცემასაც (თუ მეფეს ვაჟის სახით პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა) [7]. „მეფობის გადაცემა მეფიდან შვილიშვილზე, ასტაბილურებდა სამეფო დინასტიის ლეგიტიმაციას და ეხმარებოდა მას გავლენის გაფართოებაში [7], ასეთივე ტრადიციას უნდა ვადევნებდეთ თვალს ფრიგიაშიც [8]. მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ვარაუდი, კერძოდ, ლიდიაში ქალის ხაზით მემკვიდრეობის უფლების არსებობასთან დაკავშირებით: „გიგესის გამეფების ეპიზოდში ქალის (დედოფლის, მოახლის) როლის ხაზგასმამ ჰეროდოტესა და ნიკოლოზ დამასკოელის მიერ, საშუალება მისცა ზოგიერთ მკვლევარს ამ ცნობაში ლიდიაში ქალის ხაზით მემკვიდრეობის

უფლების არსებობა ევარაუდა, მითუმეტეს, რომ ადრეული ხანის ანატოლიაში მემკვიდრეობის ამგვარი წესის ფუნქციონირებაზე არაერთი ფაქტი მეტყველებს [8].

დასკვნა

დასკვნის სახით დავსძენთ, რომ ნანა ხაზარაძემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ძველი ისტორიის კვლევის სფეროში. კერძოდ, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ასპექტების მიმართულებით. ყურადღება გამორჩეულად მიაქცია მეფის ხელისფლების რეკონსტრუქციის საკითხებს, რაც მის ნაშრომებს განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს, ვინაიდან ეს საკითხი საშუალებას იძლევა უკეთესად შევისწავლოთ ძველ საზოგადოებებში პოლიტიკური და სოციალური სისტემების ფუნქციონირების მექანიზმები. ამრიგად, დინასტიური ცვლილებების, მემკვიდრეობითობის პრინციპის, ღვთიური ლეგიტიმაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხის დეტალური ანალიზი სამეფო ხელისუფლების რეკონსტრუქციის პროცესში სწორედ ამას ემსახურება. მნიშვნელოვანია, რომ ქალბატონი ნანას სამეცნიერო მიგნებები არ შემოიფარგლება ძველი სამყაროს გააზრებით. ისინი აქტუალური და მნიშვნელოვანია როგორც ისტორიული გამოცდილების შესასწავლად, ისე თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული პროცესების გასააზრებლად. ფასდაუდებელია ამ მხრივ ქალბატონი ნანას წვლილი, რადგან მისი ნაშრომები ქმნის მდიდარ მეცნიერულ საფუძველს და ხელს უწყობს დიალოგს წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის.

ლიტერატურა

1. Melville, S. (2024). *Kings of Tabal: Politics: Competition, and conflict in a Contested Periphery.* Retrieved from Research Gate. https://www.researchgate.net/publication/286084055_Kings_of_Tabal_Politics_Competition_and_Conflict_in_a_Contested_Periphery.
2. Gordeziani, L. (2015). Government and Ideology in the Ancient world,Caucasian Near Eastern Collection/
3. Gordeziani, L. (2015). Government and Ideology in the Ancient world,Caucasian Near Eastern Collection/
4. Kiknadze, Z. (2021). Historical and cultural essays on Mesopotamia.
5. Khazaradze, N. (1978). Technical association of Eastern Asia Minor in the first half of the first millennium B. C.
6. Khazaradze, N. (2005). the king's Authority in late Hitite political formations, South Caucasus and the middle East.49-50.
7. khazaradze, N. (2007). king's institude in Lydia.
8. Khazaradze, N. (2010). For a history of royal authority in anciant phrygia.Biographical and historiographical research.
9. Khazaradze, N. (2012). Royal Power in Late Political entities. Georgian Academy of Sciences.
10. Khazaradze, N. (2012). Hittite Lavian0 hieroglyphic inscrriptition as a source of socio- economic history of the later society.Caucasian middle East world.
11. Khidasheli, M. (2015). the concession of kingship in the Hellenistic East.
12. Herodote. (1975). *Istoria* (Vol. I). Tbilisi: Tbilisis Unversitetis Publishing House.

UDC 930.85
SCOPUS CODE 1202
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-4-26-33

The importance of the kingship institution in the ancient Near East basedon the historical heritage of Nana Khazaradze

Darejan Tsutskiridze Department of Archaelogy and Georgian History, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: d.tsutskiridze@gtu.ge

Reviewers:
L. Mateshvili, faculty of Engeneering Economics, Medea Tecnologies and Social Sciences,GTU
E-mail: l.mateshvili@gmail.com
N. Bakhsolian, faculty of Law and International Relations
E-mail: bakhsolianinan@yahoo.com

Abstract. The scientific heritage of distinguished scientist Nana Khazaradze incorporates such important issues of ancient history that are also actual for modern times. That is why Nana Khazaradze's works are especially valuable for modern historical studies. Along with many other issues, the researcher's scientific field encompasses issues related to the reconstruction of royal power in the ancient world as well. Nana Khazaradze suggests a encyclopedic analysis of the kingship institution includingexhaustive and detailed studyof the kingship's political, social, cultural role and functions. Her research is focused on such important issues as the dynasty replacement, secular and divine legitimacy, succession principle, etc. The research of the above mentioned issues is of great importance for the analysis of the ancient history as well as of the modern politics and society processes. The paper also refers to the Nana Khazaradze's scientific approaches and conclusions in relation to the mentioned issues and points out the significance of the author's distinct vision, which in turn allows us to deeply understand and evaluate historical processes and their correlations with modernity

Keywords: Dynasty replacement; Kingship institution; Legitimacy; Succession.

განხილვის თარიღი 15.06.2024
შემოსვლის თარიღი 08.10.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.12.2024